ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

II კვარტალი, 2024

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის მიერ სისტემატურად ხდება საზოგადოების ინფორმირება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

მსოფლიოს მასშტაბით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შეფასების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ, 2024 წლის 24 ივნისს, გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საქართველო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შეფასების უმაღლეს საფეხურზეა და მე-9 წელია ინარჩუნებს ადგილს პირველ კალათაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია გაშუქდა მედიის საშუალებით, ასევე, გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ არხებზე. საინფორმაციო ბანერი განთავსდა სამინისტროს ფეისბუქ გვერდზე.

სამინისტროში საზოგადოების ინფორმირების მიზნით სისტემატურად იმართება ბრიფინგები, სადაც გახსნილი საქმეების შესახებ ინფორმაცია პირდაპირ ეთერებში გადაეცემა სხვადასხვა სატელევიზიო არხებს. ამასთან, ინფორმაცია ვრცელდება ინტერნეტ სააგენტოებსა და სამინისტროს ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 23 ივნისი - „რუსთავი-2“-ის სატელევიზიო ეთერში და სამინისტროს ოფიციალურ არხებზე გაშვებულ იქნა კრიმინალური დოკუმენტური სერიალის - „პოლიციის ფაილები“ სერია, სახელწოდებით - „ნარკოდილერი“. ფილმი რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით არის გადაღებული და ერთ-ერთ მსხვილ ნარკოტიკების ინტერნეტ სარეალიზაციო საქმეს უკავშირდება. სერიაში ნაჩვენებია ახალგაზრდების მიერ შემუშავებული სქემა, რომლის მეშვეობით ონლაინ სივრცეში ხდებოდა ნარკოტიკული საშუალებების გასაღება. ფილმი მიზნად ისახავს მოსახლეობის

ცნობიერების ამაღლებას, ნებისმიერი სახეობის ნარკოტიკების ზიანის შესახებ და სამინისტროს მიდგომას და პოლიტიკას ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით.

2024 წლის 8 ივნისი - სამინისტროს წარმომადგენელმა სატელევიზიო ეთერის საშუალებით ვრცლად ისაუბრა თემაზე - როგორ დავიცვათ საკუთარი კიბერსივრცე, კიბერდანაშაულსა და კიბერმეთოდებით ჩადენილ დანაშაულებზე, როგორიც არის მაგალითად: თაღლითობა, გამოძალვა, სოციალურ ქსელში დასპონსორებული გვერდების საკითხები (თანხის გამომუშავება, ინვესტიციების ჩადება და ნივთების გამოწერა). სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რით განსხვავდება კიბერდანაშაული კიბერმეთოდით ჩადენილი დანაშაულისგან, დეტალურად ისაუბრა აქტუალურ თემაზე - ფიშინგზე, აგრეთვე ყველა მსგავსი დანაშაულის პრევენციის მიზნით გასცა რეკომენდაციები.

2024 წლის 26 ივნისი - ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, საინფორმაციო ბანერი და გრაფიკული ვიდეორგოლი განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე. ასევე, სამინისტროს წარმომადგენელმა სატელევიზიო ეთერების საშუალებით ისაუბრეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა-გავრცელების მსოფლიო გამოწვევებზე და ბრძოლის მეთოდებზე, ნარკოტიკების მოხმარებისგან გამოწვეულ ზიანზე, თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევაზე - დარქნეტით ნარკორეალიზაციაზე.

- [საგზაო უსაფრთხოება]

2024 წლის 6 აპრილი - საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი.

აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებით გრაფიკული ვიდეორგოლი და საინფორმაციო ბანერი განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

2024 წლის 5 ივნისი და 19 ივნისი - სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორები „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ და სკოლა „ალბიონს“ ესტუმრნენ, სადაც ისაუბრეს საგზაო უსაფრთხოებაზე. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის

წარმომადგენლებმა ბავშვებს აუხსნეს ძირითადი საგზაო ნიშნები, ქვეითთა გადასასვლელითა (ზებრა გადასასვლელი) და შუქნიშნით სარგებლობის წესები. ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ფეისბუქ გვერდზე.

2024 წლის 16 ივნისი - კრიმინალურ-დოკუმენტური სერიალის „პოლიციის ფაილები“ ერთი სერია მთლიანად საგზაო უსაფრთხოების თემატიკას დაეთმო, სადაც რეალურ ავტოსაგზაო შემთხვევებზე ისაუბრეს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა. სერიაში გამოყენებული მასალა და ინფორმაცია რეალურ ფაქტებს ეფუძნებოდა. თითოეული ავტოსაგზაო შემთხვევა განხილული იქნა ინდივიდუალურად, სადაც ნათლად იყო გადმოცემული რისკები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. სერია გავიდა „რუსთავი-2“-ის ეთერში და განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 28 ივნისი - საქართველოს პრემიერ-მინისტრის წლიური მოხსენების ფარგლებში, სამინისტროს ფეისბუქ გვერდზე განთავსდა საინფორმაციო ბანერი სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრის გაფართოების შესახებ. აგრეთვე, განთავსდა საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფისთვის ვიდეო კამერებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბანერი.

სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირმა (შემდგომში - სსიპ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, 2024 წლის II კვარტალში, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე, ოფიციალურ გვერდებზე, საინფორმაციო ბანერები გამოაქვეყნა. ბანერებზე განთავსდა ინფორმაციები მომსახურების სააგენტოს სერვისების და სიახლეების შესახებ, კერძოდ:

2024 წლის 22 აპრილი - მართვის მოწმობაზე მითითებული საინფორმაციო კოდების განმარტებები;

2024 წლის 5 ივნისი - მართვის მოწმობის მოქმედების ვადები;

2024 წლის 21 ივნისი - „A“ კატეგორიის და „A1“/„A2“ ქვეკატეგორიების მართვის უფლების მისაღები გამოცდები;

2024 წლის 2 აპრილი - მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა სატელევიზიო ეთერის საშუალებით დეტალურად ისაუბრა მართვის მოწმობის აღების დროს დამატებითი კითხვების შესახებ, რომელიც ეხება ავტომობილის ტექნიკურ გამართულობას და რომლებზეც მძღოლობის კანდიდატმა გამოცდის ფარგლებში უნდა უპასუხოს.

- [საქართველოს დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი]

2024 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გორში გაიმართა. სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფმა, მოქალაქეებს საინფორმაციო და საგამოფენო თემატურ სტენდებთან უმასპინძლა. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის აღჭურვილობა და ვერტმფრენი. ღონისძიების ფარგლებში ბავშვებისთვის არაერთი თემატური საინფორმაციო-შემეცნებითი აქტივობა იყო დაგეგმილი სპეციალურად მათთვის მოწყობილ გასართობ სივრცეებში. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იყო „ჭკვიანი ქალაქის“ კონცეფცია, მათთან მისულ პატარებს, დეპარტამენტის თანამშრომლები სხვადასხვა სახალისო აქტივობის შესრულებაში ეხმარებოდნენ. ქალაქში მოხვედრამდე ბავშვები საპასპორტო კონტროლის ზონას გადიოდნენ, სადაც მოსულ სტუმრებს სამახსოვრო პასპორტს გადასცემდნენ.

სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა - „112“ მოზარდებს სპეციალურად მათთვის შექმნილ თამაშებში მონაწილეობა შესთავაზა, საიდანაც ბავშვები ინფორმაციას იღებდნენ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში, ასევე, ღონისძიებაზე მისულ მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ, „სიცოცხლის ზარის“ სტენდთან, „112“-ში შესული რეალური ზარებისთვის მოესმინათ.

სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოწყობილი იყო იმიტირებული შემთხვევის ადგილი, სადაც ბავშვებს მენტორი ექსპერტების დახმარებით უნდა აღმოეჩინათ ნივთმტკიცებები, მოეხდინათ მისი ამოღება და სწორად დალუქვა. ბავშვებმა ისწავლეს თუ, როგორ ხდება სპეციალური ხელსაწყოების მეშვეობით შემთხვევის ადგილის დათვალიერება.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ პატარა დამთვალიერებლებს იმიტირებულ ქალაქში უმასპინძლა და მათ ველოსიპედის მართვის მოწმობის ასაღებად სახალისო, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება შესთავაზა. ასევე, წარდგენილი იყო ისტორიული კუთხე, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ მომსახურების სააგენტოს მიერ გასაცემი სერვისების განვითარებას. სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს წარდგენილი ჰქონდა „დაბრკოლებათა ზოლი“ და საცოცი კედელი.

სამინისტროს სსდ - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია წარმოდგენილი იყო, როგორც სანაპირო დაცვის, ისე სახმელეთო საზღვრის დაცვის სპეცტექნიკითა და აღჭურვილობით, ასევე, ისტორიული ფოტო სტენდებით.

სამინისტროს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა პატარა სტუმრებისთვის მოაწყო იმიტირებული დაცული სახლი და მათ სხვადასხვა შემეცნებით აქტივობები შესთავაზა, რომელიც მოიცავდა ხატვისა და ძერწვის სახალისო გაკვეთილებს. მენტორების დახმარებით, ბავშვებმა მოირგეს დაცვის პოლიციის აღჭურვილობა და პოლიციელის ფუნქციას ასრულებდნენ.

სამინისტროს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ წარმოადგინა იმიტირებული თეორიული გამოცდა, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუმრები ვირტუალური ტირისთვის განკუთვნილ სივრცეში ინაცვლებდნენ. აკადემიის მიერ, ასევე წარმოდგენილი იყო სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ფორმების სტენდი.

სამინისტრო გორში მთელი დღის განმავლობაში მასპინძლობდა სტუმრებს, საღამოს კი ღონისძიება კონცერტით დასრულდა. ღონისძიების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად გაშუქდა ტელევიზიების, სააგენტოების, სამინისტროს ოფიციალური გვერდებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით.

- [სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური]

2024 წლის 2 აპრილი - სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს თანამშრომლებმა, ქალაქ ბათუმში, სასტუმროში „ჰილტონ“ სახანძრო-საევაკუაციო სიმულაციური სწავლება ჩაატარეს.

სწავლება, საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების, ხანძრის ქრობის, სასტუმროს პერსონალისა და დაშავებულთა ევაკუაციის სავარჯიშოებს მოიცავდა. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში, მეხანძრე-მაშველების მიერ, შესაბამისი სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენებით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება მოხდა. ღონისძიების დასრულების შემდეგ, სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, შეფასდა სწავლების მიმდინარეობისას სასტუმროს პერსონალის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის მიზნით, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 2 აპრილი - სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა, თბილისის მერიაში, მუნიციპალიტეტების საგანგებო მართვის გეგმების შემუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის სწავლება ჩაატარა.

სწავლების მიზანს, სამოქალაქო უსაფრთხოების მიმართულებით თბილისის მერიის თანამშრომლების მომზადება, მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმის პროექტის განხილვა, ნაკლოვანებათა გამოვლენა და მათი აღმოფხვრის შესახებ, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენდა.

სწავლებაში თბილისის მერიის თანამშრომლებთან ერთად, საქალაქო სამსახურების, თბილისის რაიონების გამგეობების, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ღონისძიების ფარგლებში, სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოფენა მოეწყო.

ღონისძიება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით, ფართო მასშტაბიანი პროგრამის ფარგლებში გაიმართა, რომელიც კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისაგან დაცვას ემსახურება და კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) საქართველოს, შვეიცარიისა და შვედეთის მთავრობების მხარდაჭერით ხორციელდება.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 24 აპრილი - სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა, თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლაში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ სწავლება ჩაატარეს.

შეხვედრის მიზანს საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსწავლეებისა და მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება და აღნიშნულ სიტუაციებში ქცევის წესების დახვეწა წარმოადგენდა. თეორიული სწავლების ფორმატში, სამსახურის წარმომადგენლებმა მოსწავლეებსა და პედაგოგებს ინფორმაცია მიაწოდეს საგანგებო სიტუაციების ტიპების, მათი პრევენციის, ევაკუაციის პროცედურებისა და სახანძრო-სამაშველო ძალების საქმიანობის შესახებ.

თეორიული სწავლების დასრულების შემდეგ, სკოლის ტერიტორიაზე მოეწყო საგანგებო სიტუაციის სიმულაცია, რომლის ფარგლებშიც სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის თანამშრომლებმა წინასწარ განსაზღვრული სცენარის მიხედვით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება მოახდინეს.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 12 ივნისი - „მეხანძრე-მაშველის დღესთან“ დაკავშირებით გამოქვეყნდა საინფორმაციო ბანერი და ვიდეორგოლი ოფიციალურ არხებზე. აგრეთვე სხვადასხვა ტელე- რადიოეთერების საშუალებით სამსახურის წარმომადგენლებმა მეხანძრე-მაშველის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით მათ საქმიანობაზე ისაუბრეს.

2024 წლის 15 ივნისი - სამინისტროს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა საქართველოს აეროპორტების გაერთიანების სათავო ოფისში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ სწავლება ჩაატარეს. შეხვედრის მიზანი, კომპანიაში დასაქმებულთათვის, საგანგებო სიტუაციების შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო. შეხვედრაზე მსმენელებს ინფორმაცია მიეწოდათ საგანგებო სიტუაციების ტიპების, მათი პრევენციის, ევაკუაციის პროცედურებისა და სახანძრო-სამაშველო ძალების საქმიანობის შესახებ.

თეორიული სწავლების დასრულების შემდეგ, მოეწყო საგანგებო სიტუაციის სიმულაცია, რომლის ფარგლებშიც სახანძრო-სამაშველო ძალების თანამშრომლებმა წინასწარ განსაზღვრული სცენარის მიხედვით, ურბანული ხანძრის დროს მოქმედების ყველა აუცილებელი კომპონენტის დემონსტრირება მოახდინეს. პრაქტიკული სწავლება ხანძრის ქრობის, ასევე, ოფისის თანამშრომლებისა და დაშავებულთა ევაკუაციის სავარჯიშოებს მოიცავდა.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამსახურის ოფიციალურ არხებზე.

- [სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი]

სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები, საინფორმაციო კამპანიის - „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში, ადგილობრივი საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენლებთან ერთად - გურიის, კახეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებისა და თბილისის სკოლების 1 100-ზე მეტ მოსწავლეს, 400-ზე მეტ მშობელს, მასწავლებელს, სკოლის ადმინისტრაციისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გენდერული საბჭოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. კამპანიის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა სამოქალაქო განათლების 100-მდე პედაგოგთან, სამინისტროს მართლწესრიგის ოფიცრებთან. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა ქორწინების საზიანო შედეგების, ამ მიმართულებით არსებული სამართლებრივი რეგულაციების და ბავშვობის ასაკში ქორწინების აღმოსაფხვრელად სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

სტუმრებმა ინფორმაცია მიიღეს პოლიციისადმი მომართვის სხვადასხვა გზების, მათ შორის, სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მობილური აპლიკაციის, ჩუმი განგაშის (SOS) ფუნქციის, SMS და ვიდეო ზარის სერვისების შესახებ. ღონისძიებაზე 5 წლის მანძილზე ჩატარებული აქტივობების შემაჯამებელი ვიდეორგოლისა და იძულებითი ქორწინების რეალურ შემთხვევებზე მომზადებული „პოლიციის ფაილების“ სერიის ჩვენებაც გაიმართა. ბავშვებს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით დამზადებული ბრენდირებული მასალა გადაეცათ.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ გვერდებზე.

სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლების ინიციატივითა და Unicef-ის დაფინანსებით, დაიბეჭდა ბავშვთა ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის შესახებ ბუკლეტები ქართულ (1500 ცალი), აზერბაიჯანულ და სომხურ (200-200 ცალი) ენებზე. ბუკლეტების დამზადებისა და გავრცელების მიზანს, საზოგადოების ინფორმირებულობა წარმოადგენს ბავშვთა ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრში ვიზიტების, მდგომარეობის, სერვისებისა და ზოგადი ინფორმაციების შესახებ.

- [სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“]

2024 წლის 13-24 აპრილი და 23 მაისი - მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, რატომ უნდა მივაწოდოთ „112“-ს დეტალური ინფორმაცია მისამართის შესახებ, მომზადდა სამი გრაფიკული ვიდეორგოლი.

ვიდეორგოლებში ასახულია ინფორმაცია თბილისსა და რეგიონებში იდენტური დასახელების ქუჩების, გამზირებისა და მოედნების შესახებ.

ვიდეორგოლები განთავსდა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ „Facebook“ გვერდსა და „112“-ის ოფიციალურ „YouTube“ არხზე.

2024 წლის 1 ივნისი - „112-ის გმირი“ ბავშვები - პროექტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-მა 4 მოზარდს „112-ის გმირის“ წოდება მიანიჭა. მოზარდებმა ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ წუთებში სხვა ადამიანების გადასარჩენად, გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს. პროექტის ფარგლებში, ყოველ წელს ჯილდოვდებიან მოზარდები, რომლებმაც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს და კარგად იციან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში.

ინფორმაცია განთავსდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდსა და „112“-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

2024 წლის 8 ივნისი - სსიპ **-** საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის 70-მდე იუნკერს უმასპინძლა. სტუმრები „112“-ის მუშაობის სპეციფიკას გაეცნენ, ასევე, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მართვისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 12 ივნისი - ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა საინფორმაციო ბანერი - „რა ხდება როდესაც 112-ზე ვრეკავთ?!“, ბანერზე განმარტებულია ის თუ

როგორი მნიშვნელოვანია „112“-ის ოპერატორს დეტალურად მიეწოდოს შემთხვევის ადგილის მისამართი, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა შესაბამის საგანგებო სამსახურს. ასევე, ბანერზე ასახულია ოპერატორის დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემის მნიშვნელობა.

საინფორმაციო ბანერი განთავსდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ არხებზე.

2024 წლის 15 ივნისი - სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ - ფარგლებში, მიმდინარე კვარტლის განმავლობაში, საჯარო და კერძო სკოლების 1600-ზე მეტი მოსწავლე ეწვია.

„112“-ის წარმომადგენლებმა მოზარდებს გადაუდებელი დახმარების ნომრის სწორად გამოყენებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები გააცნეს.

მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ მსგავსი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ „112“-ის ოპერატორთან.

მოზარდებს, ასევე, განემარტათ არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეები და სანქციები, რომლებიც ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაშია გათვალისწინებული.

ინფორმაცია განთავსდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ოფიციალურ არხებზე.